ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ნიუუნი

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE
NEWUNI

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება

ახალი უმაღლესი სასწავლებელი – „ნიუუნი“

შინაარსი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი **2**

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები **2**

მუხლი 3. სამსახურის სტუქტურა **3**

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები **4**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის (შემდგომში - სასწავლებელი) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (შემდგომში სამსახური) არის სასწავლებლის სტრუქტურული ერთეული;

2. სამსახური ფუნქციონირებს სასწავლებლის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კავშირში და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის, სასწავლებლის შიდა რეგულაციებითა და წინამდებარე დებულებით;

3. სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია სასწავლებლის რექტორის და აკადემიური საბჭოს წინაშე, ასრულებს კანონის საფუძველზე რექტორისა და აკადემიური საბჭოს მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა;

2. სასწავლებლის ცნობადობისა და პრესტიჟის ამაღლების, ასევე, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება;

3. საზღვარგარეთის უსდ-ებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარების უზრუნველყოფა;

4. საქართველოში აკრედიტებულ უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, საინფორმაციო ცენტრებთან სასწავლებლის მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა;

5. სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში სასწავლებლის ჩართვის უზრუნველყოფა;

6. უცხოური დელეგაციების მიღება-მასპინძლობის ორგანიზება;

7. საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უზრუნველყოფა;

8. სტუდენტთა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა;

9. შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, გაცვლითი პროგრამებისათვის კანდიდატების შესარჩევი კონკურსების ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება;

10. თავისი კომპეტენციის ფარგლებში უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად მარკეტინგულ კამპანიაში მონაწილეობა.

მუხლი 3. სამსახურის სტუქტურა

1. სამსახური არის სასწავლებლის სტრუქტურული ერთეული. მას ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებულია სასწავლებლის რექტორისა და აკადემიური საბჭოს წინაშე;

2. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი.

3. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს სამსახურს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ შესაბამის დავალებებს;

დ) უზრუნველყოფს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სასწავლებლის მართვის ორგანოების ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებებისა და წერილების პროექტების მომზადებას;

ე) ახდენს სასწავლებელში მომზადებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების მიზირებას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს აწერს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს ან ახორციელებს ვიზირებას;

ვ) რექტორს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ზ)გამოითხოვს სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულებისგან სამსახურის მუშაობისათვის საჭირო ინფორმაციას;

თ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლებლის წესდებითა და შიდა რეგულაციებით დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება სასწავლებლის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.